

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი №3

ქ. გარდაბანი

28 მარტი 2025 წელი 13:00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე მიხეილ გედეხაური

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი:

სამირ ხიალოვი	ფლორა ასკაროვა
ვუგარ მამედოვი	ლაშა ქართლოსიშვილი
სახმან მირზოევი	ლია მეტრეველი
ბეთქილ კახიანი	კამრან ბაბაევი
ისლამ მამედოვი	გუსეინკულუ მუსაევი
ტარიელ ჯანხოთელი	ლევანი ბეგლარიშვილი
დავით ებილაშვილი	ზურაბ კორახაშვილი
ანი მანჩხაშვილი	ლალი კახურაშვილი
თორნიკე ქავთარაძე	ზაბიტ მამედოვი
თამარ ხაჩიძე	მაია შამედოვა
შახადატ მეხრალიევი	ვახუშტი აბულაძე
რასიმ ისაევი	მადონა გაბროშვილი
გიორგი გურულიშვილი	ეველინა ჩოხელი
ზურაბ ბენდელიანი	მეითხან მეითხანოვი
ლევან ნიჟარაძე	აბდულალი იბრაგიმოვი
დავით ჭინჭარაული	

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატი) ხელმძღვანელი - ოთარ გავაშელიშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (საორგანიზაციო განყოფილება) ხელმძღვანელი - ვახტანგ მამუკაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება) ხელმძღვანელი - ნინო დათუაშვილი.

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

სხდომის თავმჯდომარემ – გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ - მიხეილ გედეხაურმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა. საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად.

დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ვიქტორი ქარჩაიძისა და მწვრთნელის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ.
მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე
2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გიგა კვინიკაძისა და მწვრთნელის რომა გოგაშვილის დაჯილდოების შესახებ.
მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე
3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ემილ ისმაილოვისა და მწვრთნელის ჯეიხუნ ორუჯოვის დაჯილდოების შესახებ.
მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე
4. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: მთვარისა ხარძიანის, სოფიკო კვანჭიანის, შალვა მამულაშვილისა და მწვრთნელის შალვა აკოფაშვილის დაჯილდოების შესახებ.
მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე
5. საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.
მომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე
6. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.
მომხსენებელი: ზურაბ ბენდელიანი
7. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წლიური ანგარიშის მოსმენის შესახებ
მომხსენებელი: ზურაბ ბენდელიანი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 32

წინააღმდეგი – 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია

საკითხი 1.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ვიქტორი ქარჩაიძისა და მწვრთნელის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ, საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი-**გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ვიქტორი ქარჩაიძისა და მწვრთნელის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ** და განმარტა, რომ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში განსახილველად შემოსულია საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის 2025 წლის 4 მარტის №234 წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2025 წლის 1-2 მარტს ქ. თბილისში გამართულ ჭაბუკთა პირველ საქართველოს სარეიტინგო ჩემპიონატზე - 2013-2014 წლებში დაბადებულთა შორის - გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა, ძიუდოსტმა ვიქტორი ქარჩაიძემ (პ/ნ. 01950024964) 46 კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა I საპრიზო ადგილი, მისი მწვრთნელია ბადრი ბედიანაშვილი (პ/ნ. 12001019004).

საკრებულოს წევრების მიერ მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N31 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის: **ვიქტორ ქარჩაიძის** ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 500 (ხუთასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის- **ბადრი ბედიანაშვილის** ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა მადონა გაბროშვილმა, მეითხან მეითხანოვმა, ვახუშტი აბულაძემ და ლალი კახურაშვილმა მონაწილეობა არ მიიღეს კენჭისყრაში და დატოვეს საკრებულოს სხდომა

კენჭი ეყარა განკარგულებას - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ვიქტორი ქარჩაიძისა და მწვრთნელის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28

წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №28 - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ვიქტორი ქარჩაიძისა და მწვრთნელის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ.**

საკითხი 2.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გიგა კვინიკაძისა და მწვრთნელის რომა გოგაშვილის დაჯილდოების შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ, საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი-გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გიგა კვინიკაძისა და მწვრთნელის რომა გოგაშვილის დაჯილდოების შესახებ და განმარტა, რომ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში განსახილველად შემოსულია საქართველოს პანკრატეონის გრეპლინგის და ბელთ რესლინგის ეროვნული ფედერაციის წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2025 წლის 22 თებერვალს, ლილოს დასახლებაში არსებულ მერიის სპორტულ კომპლექსში გამართულ საქართველოს ღია პირველობა ჭიდაობა გრეპლინგში, რუსთავის სახელით მოასპარეზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრი გიგა კვინიკაძე (პ/ნ. 60350026349) 35კგ წონით კატეგორიაში გახდა საქართველოს ჩემპიონი, მისი მწვრთნელია - რომა გოგაშვილი (პ.ნ 12001091598).

საკრებულოს წევრების მიერ მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N31 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის: გიგა კვინიკაძის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 500 (ხუთასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის- რომა გოგაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულებას - გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გიგა კვინიკაძისა და მწვრთნელის რომა გოგაშვილის დაჯილდოების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 28

წინააღმდეგი - 0

მიღებულია განკარგულება №29 -გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გიგა კვინიკაძისა და მწვრთნელის რომა გოგაშვილის დაჯილდოების შესახებ.

საკითხი 3.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ემილ ისმაილოვისა და მწვრთნელის ჯეიხუნ ორუჯოვის დაჯილდოების შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ, საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი-გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ემილ ისმაილოვისა და მწვრთნელის ჯეიხუნ ორუჯოვის დაჯილდოების შესახებ და განმარტა, რომ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში განსახილველად შემოსულია საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის 2025 წლის 13 მარტის №48/03 წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2025 წლის 20-25 თებერვალს, ქ. ბათუმში გამართულ საქართველოს 2025 წლის ჩემპიონატზე - ჭაბუკ მოკრივეთა შორის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრი, ემილ ისმაილოვი (პ/ნ. 12650001329) გახდა

საქართველოს 2025 წლის ჩემპიონი ჭაბუკ მოკრივეთა შორის, მისი მწვრთნელია -ჯეიხუნ ორუჯოვი (პ/ნ. 12001009006).

საკრებულოს წევრების მიერ მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N31 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის: **ემილ ისმაილოვის** ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 800 (რვაასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის- **ჯეიხუნ ორუჯოვის** ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 400 (ოთხასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულებას - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ემილ ისმაილოვისა და მწვრთნელის ჯეიხუნ ორუჯოვის დაჯილდოების შესახებ.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28

წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №30 -**გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ემილ ისმაილოვისა და მწვრთნელის ჯეიხუნ ორუჯოვის დაჯილდოების შესახებ.**

საკითხი 4.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: მთვარისა ხარძიანის, სოფიკო კვანჭიანის, შალვა მამულაშვილისა და მწვრთნელის შალვა აკოფაშვილის დაჯილდოების შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ, საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი-**გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: მთვარისა ხარძიანის, სოფიკო კვანჭიანის, შალვა მამულაშვილისა და მწვრთნელის შალვა აკოფაშვილის დაჯილდოების შესახებ** და განმარტა, რომ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში განსახილველად შემოსულია საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის 2025 წლის 12 მარტის № 03-13 წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2025 წლის 7 მარტს, საქართველოს ჩემპიონატზე კლასიკურ წოლჭიმში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა სპორტსმენებმა: მთვარისა ხარძიანმა (პ/ნ. 43001044672) 52 კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა I ადგილი, სოფიკო კვანჭიანმა (პ.ნ. 12701101157) 69 კგ. წონით კატეგორიაში, დაიკავა I ადგილი, ხოლო შალვა მამულაშვილმა (პ.ნ. 12001093083)+120 კგ. წონით კატეგორიაში ასევე დაიკავა I ადგილი, სპორტსმენების მწვრთნელია შალვა აკოფაშვილი (პ/ნ. 12001073621).

საკრებულოს წევრების მიერ მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N31 დადგენილების შესაბამისად,

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: **მთვარისა ხარძიანის** ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 2000 (ორი ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“, **სოფიკო კვანჭიანის** ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 2000 (ორი ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“, **შალვა მამულაშვილის** ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 2000 (ორი ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის- **შალვა აკოფაშვილის** ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 1800 (ათას რვაასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულებას - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: მთვარისა ხარძიანის, სოფიკო კვანჭიანის, შალვა მამულაშვილისა და მწვრთნელის შალვა აკოფაშვილის დაჯილდოების შესახებ.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28

წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №31 - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: მთვარისა ხარძიანის, სოფიკო კვანჭიანის, შალვა მამულაშვილისა და მწვრთნელის შალვა აკოფაშვილის დაჯილდოების შესახებ.**

საკითხი 5.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ნიჟარაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი-**„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“** და განმარტა, რომ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 თებერვლის N4 დადგენილებით გათვალისწინებული ხარჯების ანაზღაურება მოხდება განსახილველი განკარგულების პროექტის მიხედვით და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) აუნაზღაურდებათ საკრებულოს წევრის

უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული მ/წ მარტის თვის ხარჯები დანართის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულებას - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28

წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №32 - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“.**

საკითხი 6.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ - ზურაბ ბენდელიანმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“** და განმარტა, რომ პროექტის თანახმად 2025 წლის მეორე კვარტალში გათვალისწინებულია შემდეგი გეგმიური საკითხის განხილვა:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28

წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №33- **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“.**

საკითხი 7.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წლიური ანგარიშის მოსმენის შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ - ზურაბ ბენდელიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის მიერ 2024 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში.

საკრებულოს წევრებმა მოისმინეს წარმოდგენილი ანგარიში და მიიღეს ცნობად.

სხდომის თავმჯდომარე



მიხეილ გედგხაური